ლოენებისა? აი, უფ, სკანდელიო სადამდის მიდის თქვენს ვი-
ნების დაბნევა და პატიოსნება.

აბა ახლა გულის წრფელათ შეადარეთ ეს ლექსათ თარ-
გმნი ბაირონი თქვენს პროზას და ნახეთ რამდენით „მნათო-
ბის“ მთარგმნელები გჯობნებიან თქვენა.

• ყველა ქვეყნების შკოლებისა მასწავლებლები,

• რომ ჩვენ ზნეობა გაეასწოროთ ყმაწვილებისა

• გვიქადაგებენ, რომ ეიხმაროთ მუღამ როზგები.

• ცემა უნდაო... რა არს ტკივილი ტყუენისათვისა!

• ჩვენ მაგალითათ ხელს მიგიშვერთ დონქუანზედა:

• თუმცა რომ დედა ბეერს ცდილობდა მის აღზრდაზედა

• და ამისათვის ის არაფერს არ იშურებდა,

• მაგრამ ბოლოს კი უროზგობას ბეერსა მანობდა.

აი, ჩემო, კულაბზიკა, რას ნიშნავს, როდესაც კაცი წინ
დაუხედავია და არ იცნობს თავის თავს. მარწმუნებთ, რომ
ზემოთ მოყვანილი ლონისძიება კარგი წამალია თქვენს ცნო-
ბაში ჩასაგდებლათ. მე ძალიან ვცდებოდი, როცა ვფიქრობ-
დი, რომ თქვენი და მესხის ცნობაში და უმეტეს პატიოსნე-
ბაში ჩაგდება წერით შეიძლება მეთქმ. მართათ ერთი ლონის-
ძიება ის არის, რაც ზემოთ შემოგითავაზეთ თქვენ და გირო-
ნეტ მიიღოთ ვგ რეცეპტი, რომელიც თქვენ სხვისთვის და-
გიწერიათ. მერწმუნეთ, რომ კაცათ იგცვეით. აი კიდევ სადამ-
დის არის საჭირო თქვენი ცნობაში ჩაგდება, თქვენა ბრძანებთ
შესახებ ძველი შვილის თარგმანისა.

• არამც თუ დამწერის აზრი დაჰკარგვია (უფ. ანალიშვი-
ლსა), ქართული ენის კილოც ვერ მიუგნია. აბა წაიკითხეთ
აი ეს ალაგი და გვითხარით, ვაიგო თქვენმა მკითხველმა ერ-
თი სიტყვა მაინც, რის თქმა უნდა და დამწერს?

წაეიკითხოთ.

• არაბელლა. არა, დამერწმუნეთ, რომ შემცდარი ხართ
და ის არის. შურიანობამ ველარა დაგანახვათრა.

მს გაუგებარია უფ. სკანდელი? ვერ ვაიგეთ? მაშინვე წავეყვანი
თი გვაცდევინე ის წამალი, რაც ზემოთ დაეწერეთ და თუ
შინაც ვერ ვაიგოთ, რაც უარესი იყენენ ის მითხარით.

ბი თქვენი გონიერება, თქვენი პატიოსნება და ჩემი უსი-
ნიდისობა!

მს ყველაფერი კარგი. ეს თქვეათ აქაც სუყველაფერში მარ-
თალი ხართ. ახლა მე გკითხავთ თქვენა: რისგან წარმოსდგა
თქვენი ძმის ქება „დროებაში“? ნუ თუ ყველა ჩვენგანი არ
იცნობდა, რომ ის იყო სრული საპყარი გონებითა. სერგეი
მესხვედ ბევრით უარესი. ეს თქვენცა და „დროებაშიც“ სხვებზედ
უკეთ იცოდით. რათ შეეძლო „დროებაში“ ასე უწყალოთ? ან რა
ღირსი იყო, რომ იმაზედ ან სიტყვა თქმულიყო ბეჭდვითა?
ნუ თუ ეს წარმოსდგა პატიოსნებისაგან! რამდენი უფრო გო-
ნიეროცა, დონიეროცა, ზომიეროცა, მგრძნობელიცა და სხ. მო-
მკვდარა, რატომ სხვებზედ არას ამბობს „დროებაში“ რითი და
იმსახურა იმ ნახევარი გონების პატრონმა სიტყვა ჩვენი ლი-
ტერატურისაგან? არაფრით, გარდა იმისა, რომ იყო ძმა ნიკო-
ლოზ ნიკოლაძისა, რომელსაც შეეძლება შიმშილის წერებებისა...
სხვას მესხი მიხედება.

მს ხომ კი! მგვრელისა არ იყევს!

ახლა გკითხავთ, რა არის ის საშინელი რეკლამა თქვე-
ნი ნახშირის მადნებისა „კრებულის“ ამ უკანასკნელს წომრე-
ბში ზ. წერეთლის სტატიაში „ამ დროების ვითარებაში“? ეს რე-
კლამა იქამდინ მიღის თავის მოახლოურის თაყუანებითა თქვენ-
დამი, რომ იგდებენ მასხარათ იმათ, ვინც სხვა თქვენს გარე-
შე ჰბედაეს ამგვარის მადნების ძებნას. მიღის ამ რეკლამის პა-
ტიოსნება იქნამდის, რომ ემოქრის და აშინებს თქვენი მადნე-
ბის მამსყიდველებს, რომ თუ შეეშაღეთ უფ. ნიკოლაძეს,
სულ დაილუპებით და უპატიოსნება ხომ დიდი იქნებო. რა
არის ეს რეკლამა, შე თქვენა გკითხავთ, პატიოსნება?

მსეც კიდევ არაფერი.



ჩემი გაქვინათ ასე უცებ დიმიტრი ბაქრაძემ მოხდა რომ ბაქრაძეს აქებთ ეხლა, როდესაც იმას უყურავენ რომ მგელიმე უფლებმა ხელში? პატროსანი კაცი სიმართლეს არას წინ არ დაიხევალივებს. თუ არ იტყვის სიმართლეს, დაიღუპება მაინცა და არ აქებს იმას, რაც ამის აზრით არის ცუდი. რისგან მოხდა, რომ ბაქრაძე ამ ერთის წლის წინათ, როდესაც იმას არ ეჭირა არაერთი უფლებმა ხელთა, იყო ყოველად უფარგისი და ახლა არის კარგი?

აი რასა ბრძანებდა „კრებული“ მეშვიდე წიგნში შესახებ ბაქრაძისა, რომ იმას ენაც ძველი აქეს, თითონაც ძველია, აზრებიც ძველი აქეს და ჭკუის ხმაც ტყუილათა აქეს დაფარდნილიო. მართის წლის წინათ ასეთი იყო ბაქრაძე, როდესაც არ ეპყრა ძლა ხელში. მნახათ ახლა როგორია, როდესაც შეიცვალა დეკორაცია. აი რასა ბრძანებს ახლა „კრებული“ თქვენის პირითა.

„ჩვენ დიდი პატივის ცემა გვაქვს უფ. დიმიტრი ბაქრაძისა, იმიტომ რომ ვაფასებთ იმის შრომას ქართული მწერლობის სასარგებლოთ, იმ შრომას, რომელიც თითქმის თხუთმეტის წლის განმავლობაში არ შეწყვეტილა. უფ. დიმიტრი ბაქრაძემ დაბეჭდა ოდესმე „ცისკარში“ იმ დროსთვის ჩინებული და ეხლაც სასარგებლო სტატიებია“.

„მართის სატყეით მის შრომა ჩვენს თვალში პატიოსანი შრომაა.“

ახლა გკითხავთ: რისგან წარმოსდგა ასე უცებ აზრის შეცვლა „კრებულ-დროების“ პატიოსან თაეში? აბა, უფ. სკანდელიო, პატიოსნებაა ესა?!

აი თქვენი პატიოსნება.

პასუხი მეორე პუნქტისა.

რა რიგ პატიოსნებასა მხარობს უფ. სკანდელი ჩემი უპატიოსნების დასამტკიცებლათ.

„მიზეზი უფ. ფურცელაძის უსარგებლო და უწყობილო
 ცოდვილობისა უფ. ფურცელაძის „ცოდვიანობა“ (თითქმის
 სკანდელის თავში ლოლიკა არ არისო! აი როგორი სცოდნია,
 რომ ცოდვილი კაცი სარგებლობას ვერ მოიტანსო! ბეკონი,
 ლინე, ბაირონი და სხ. სულ უცოდველნი არ იყვნენ). ესე
 იგი ის, რომ უფ. ფურცელაძეს შუბლზედ აჩნია ერთი მამაკე-
 დინებელი ცოდვის დადი, რომელიც საფლავამდის არ ასცილ-
 დება და საფლავშიაც გაუწევს შუბლის ძვალს.“

მანა ძლიერი ცოდო უნდა იყვეს მკითხველო, რომ სი-
 კედილის უკანაც შუბლს გამიხერცეს. მადლობაა ღმერთს,
 რომ სიკედილის უკან იქნება ესა, თორემ სიცოცხლეში ვინ
 გაუძღვებდა! არა, სიტყვები კი ბარაქიანი აქვს: ყმაწვილი ლი-
 ტერატურის სასაფლაოზედ დამარბული დანა! ყელის გამოს-
 ჭრა, მამაკედინებელი ცოდო! შუბლის გახერცა! ამგვარის
 სკანდელის ყვინჩილობა მაგონებს მე კინკრაქას ერთს ქარ-
 თულს არაკში. ეს კინკრაქა ისეთი მზღალი და მშაშარა იყო,
 რომ ფეხის ალაგისათვის ღამე მარტო გარეთ ვერ გადიოდა
 თუ ცოლს არ გაიყოლებდა გულის გააამაგრებლათ. მრთს
 მთვარიანს ღამეს გააღვიძა გაქირუებულმა კინკრაქამ ცოლი
 და გაეიდა გარეთა. ცოლი აღგა თავსა და კინკრაქა დამშვი-
 დებული იმითი, რომ მარტო არ იყო, მოაყვა ფაფხურსა:
 „ეჭვი! რა საქარენე ღამეა და! ეხლა შეისხი ღაზთიანათ
 იარალი, ჩაუჯექ ერთ ყრუ უდაბურ ადგილას ერთს დიდ ქა-
 რაენს, აპყარე იარალი, დამადრე მეაქლეძებს თხებივით ყე-
 ლები, წაიღე საქარელი და გადი ბალდადსა!“ ცოლს გულმა
 არ მოუთმინა და ჩაპკრა თავში.—პი მენიკი ჩამოგაცვი მაგ
 თავზედაო, უთხრა ცოლმა!—მორჩი რასაც ჩადიხარ, ექ არა-
 ვინ გამოიაროს მართალი არ ეგონოს. შიშით მარტო გა-
 რეთ ვერ გამოსულხარ და ქარაენის გაწყვეტას აპირებო.

სწორეთ ეს ჩენი კუდაბზიკაც ისეა. იმდენს ჩემს ნაწერე-
 ბში შეცდომის კვალიც ვერ უპოენია შემდეგ იმდენის ცდისა



და ოფლის ღერისა და აქ გამოხსულა და ხან ეყვლის გამოქრას გაიძახოს, ხან შუბლის გაწეასა.

მაინც ენახათ რა ცოდოა ეს ცოდო ისეთი, რომ შუბლს გამოიწეამს. ზაეშინჯოთ ეს ცოდო უღრის ემიგრანტების კასის გაცარცვას, თუ არა. მოეიყვან ისევე კულაბზიკას სიტყვებსევე. თორემ ჩვენისთანა კაცა სხვის სიტყვებითაც ვერ მოახერხებს მაგგვარს ცილის სიტყვებსა და სიცრუეებსა.

1863 წელს ილია ჭავჭავაძემ დაიწყო „საქართველოს მოამბის“ გამოცემა. მის არ ახსოვს ეს წელიწადი, როცა ერთი მზოით ჩვენი ცხოვრება თავის უწინდელს კალაპოტს ცვლიდა და ახალში შესვლას აპირებდა (კალაპოტში შესვლა თქვენს მეტს არივის შეუძლიან, უფ. სკანდელი). ან უფრო სწორე რომ ვთქვათ, არ აპირებდა, მაგრამ მაინც უნდა შესულიყო, და როცა მეორეს მზრივ ასტყდა სასტიკი ბრძოლა ახალგაზდობისა—ესე იგი ახალის ცხოვრებისა და ძველის კაცების—ესე იგი ძველს წესს და სჯულს შუა. როცა ატეხილია ბრძოლა, როცა სდულს ცხოვრება, ყველა პატიოსანი კაცის ვალია ან ერთს რაზმში ან მეორეში ჩადგეს, როგორც ურჩევს გული, აზრი და მიმართულება. ბრძოლა, ესთქვით ასტყდა სასტიკი. რაც კი რამე იყო ჩვენში ახალგაზდა, მხნე, ახალი წესისის და ცხოვრების მოყვარე, ყველამ იცნა ის პატიოსანი მამეალის დროში, რომელიც მხნედ ეკავა ილია ჭავჭავაძეს. ძველმა წესმა, ძველმა კაცობამ თავი შეაფარა „ცისკარში“, და ამნაირათ, ამ ბრძოლაში, რომელიც გაიმართა „საქართველოს მოამბეს“ და „ცისკარს“ შუა, სწინდა ის ნანდელილი და ძლიერი ბრძოლა, რომელიც ამ დროს სდულდა ძველს და ახალს შუა ჩვენს ცხოვრებაში.*

* რა ჰქნა ამ დროს უფ. ფურცელაძემ? კითხულობს უფ. სკანდელი და ამბობს თვითონვე, რომ ამ დროს ფურცელაძე, მოამბის მტრობითა და სიძულვილით მიადგა კარს ცის-

კარსა და გახდა ფარი და ხმალი ძველის თაობისა და ძველისა აზრებისაო.

ზანეი ილოთ ამ შენთხვევაშიაც პატროსნება სკანდელისა და „კრებულ-დრობისა“, რომლებს მაგიერათაც ეს ლაპარაკობს.

„ცისკარში“ მე შევედი თანამშრომელათ 1863 წელს კი არა, როგორც ბრძანებს სკანდელი, არამედ მაშინ, როდესაც თვით ჭვეჭვადე სწერდა „ცისკარში“. მაშასადამე მე ვიყავე „ცისკარის“ თანამშრომელი „საქართველოს მოამბის გამოცემამდინ, და, ვისაც მსურს, შეუძლიან იხილოს 1861 და 1862 წლის „ცისკარის“ ნომრები. მაშასადამე მე გავმზადრეარ „ცისკარის“ თანამშრომელი არა „მოამბის“ სიძულელით, არამედ სხვა რამე სურვილით, რათგან მაშინ „მოამბის“ ხსენებაც არსად იყო.

ამგვარ სიცრუეეს რას ეძახიან თქვენში უფ. სკანდელი, პატროსნებას? ჩვენში კი ცუდი სახელი ჰქვიან ძალიან.

შველა ძველი აზრისა და ძველი კაცობა შეეფარა „ცისკარს“ „მოამბისა“ და ახალი აზრების საბრძოლველათაო.

იციო მკითხველო, ვინ იყენენ „ცისკარის“ თანამშრომელნი 1863 წლის დასაწყისიდან იმავე წლის თიბათისა თუ მანამდინ, ესე იგი ვიდრემდის მე თავს დაეანებებდი „ცისკარსა“? იგივე თანამშრომელნი „მოამბისა“ და დღევანდელი თანამშრომელნი „კრებულისა“ და „დროებისა“. პი ისინი: ღმიტრი შიფიანი, რომელიც სწერდა „ცისკარშიაც“ და „მოამბეშიაც“, თავადი ბრიგადო მრბელიანი, რომელიც ვგრეთვე სწერდა „მოამბეშიაც“, რაფიელ მრისთავი, რომელიც დღესაც არის თანამშრომელი „კრებულისა“ და „დროებისა“; აკაკი წერეთელი, რომელიც ამდენი კულზედ ჰიდებით, რომ არსად გაგვექცესო „დროებამაც“ და „კრებულმაც“ ლამის კუდი მოსწყვიტონ და რომელმანც თავისის ნიჭიერის ფელეტონებით



ასე გააერთიანა „დროება“: დიმიტრი ბაქრაძემ, რომელსაც დღეს „კრებული“ ეძახის სინიღისიერს და პატიოსანს მშრომელს; პეტრე ჩარეკოვი, რომელიც ასე იღვწის დღეს „დროებაში“. სჩეა ამათ გარდა შეხედებით სამს ოთხს გვარს: დიდებულიძე, რომელმანც სთარგმნა მხოლოდ „საბრალონი“ ჰუგოსი, მასილ მაჩაბელს, რომელმანც სთარგმნა ჩონჩეცკის ფიზიოლოგიური ლექციები, ყ. რომელმანც აცნობა ქართველ საზოგადოებას გამოჩენილი პოლშელი პუსტოკოიტოვის ქალის საქმენი; პრდაზიანს, რომელმან სთარგმნა ეკონომიური სტატია „უოველივე მოიპოვება შრომით“ და დასწერა „მორჩილი“ და სხ. მაშ ვინ იყვნენ ეს ახალი აზრებისა და ახალი ცხოვრების მდევნელი ძველი კაცები, რომელთაც იმდროს შეაფარეს „ცისკარს“ თავი და აუტეხეს ახალს კაცებს და აზრებს ბრძოლა? თუ კი პატიოსანი კაცია და გვიჩვენებს ვისმე ამგვარს უფსკანდელი.

ამას თქვენში პატიოსნებას ეძახიან სკანდელი?

პასუხი მესამე პუნქტისა.

ცისკარი ჰქადაგებდა ძველს აზრებსა სდევნიდა ახალსა, და ფარი და ხმალი ამისი იყო ფურცელაძეო.

მნათობი.

რა იყო მაშინდელი ახალი და ძველი?—ბატონყმობის გადაეარდნაზედ ლაპარაკი; ლაპარაკი ახალს სასამართლოებზედ, ბაასი იმაზედ, რომ შეუძლიანთ თუ არა ქართველებს სწავლა, რომ სახალხო სასწავლებლები დაუკეთდეთო. მაეშინჯოთ რას ამბობდა ყველა ამაზედ „ცისკარი“.

მის არ ახსოვს ის აზრი, რომ ერთი პედაგოგი ჰქადაგებდა, რომ ქართველებს ფრენგლოლიურათ ისე აქეთ მოყვანილი თაეიო, რომ სწავლას ვერ მიიღებენ და ამოიქნება ამა-

თვის სასწავლებელიო. მინ იყო პირველი, რომ შეშარტა ამ პედაგოგს ხელიო — „ცისკარი“, ანუ უკეთა ესთქეთ — მე, უფ. ანტონ შურცელაძე.

მის არ ახსოვს უფ. ლოდავეისა და ბაბილოვის სტატიები „ძაეკაში“, რომ ახალი სასამართლოები ენებას მოუტანენ ჩენს მხარესაო. მინ იყო, რომ პირველი წინაღუდგა ამგვარს უგვანება? — „ცისკარი“, ანუ უკეთა ესთქეთ — მე, უფ. ანტონ ფურძელაძე.

მის არ ახსოვს მაშინდელი ჭირვეულება ბატონებისა ყმების განთავისუფლებაზედ. მინ დაიწყო პირველი ლაპარაკი ყმების უსამართლო მდგომარეებაზედ და ყმების განთავისუფლების საჭიროებაზედ? — „ცისკარმა“, ანუ უკეთა ესთქეთ — მე, ანტონ შურცელაძემ. (იხილე „ცისკარი“ დეკემბერი 1862 წ.).

რომ არ ეგონოს ჩემი სიტყვები მკითხველს მოგონილ სიტყვებათა, რომ არას ოდეს არა ეყოფილვარ მოსარჩლე ძველის აზრებისა და მდევნელი ახლისა, მოვიყვან მაშინდელი ჩემი წაწერებიდან რამდენსამე ნიმუშს, იმ დროს წაწერებიდან, როდესაც გამოდიოდა „მოამბე“. უკეთესის გაცნობისთვის შეუძლიანთ ჩემი სტატიები წაიკითხოს მაშინდელს „ცისკარის“ ნომრებში.

„ამ მდგომარეობაში რომ იყო „ცისკარი“ და დაეარდნილი ხალხი გამარჯვებული დაჰკიჟნებდა ახალ სწავლასა და ახალი აზრების პატრონებს, მაშინ უცებ გამოგდა ასპარეზზედ დ. შონქაძე თავის „სურამის ციხით“... ამ თხზულებამ დასკა საშინელი ელდა და მოსწყვიტა წილები დაეარდნილს ხალხსა და ძველი აზრების პატრონებს.“

„მაგრამ ბატონები ვერ დარწმუნდნენ, რომ ბუნებას არაა ვითარი გარჩევა არ დაედო გლეხებსა და იმათში და კაცო-



ბრიფი გრძნობა და სიმართლე თხოულობდა თანასწორებს, ბევრი ამისთანა კიდევ იყო საჭირო ჩვენს ლიტერატურაში, რომ კარგა გარკვევით დაენახათ ბატონებს თავისი შეცდომა.“
(„ცისკარი“ იანვარი 1863 წ.)

აი ნიმუშები იმისი, რა გვარი წინააღმდეგი ვიყავ მე ძველი აზრებისა და ძველი სწავლისა.

ამას პატიოსნებას ეძახიან თქვენში უფ. სკანდელი? რა საკვირველია, სხვა თქვენ საქმეებთან, ეს პატიოსნებაა.

ახლა მოისმინეთ „საქართველოს მოამბეს“ ახალს აზრებს ეწინააღმდეგებდი შე თუ სხვა რასმე, რომელიც, პირიქით, იყო წინააღმდეგი ახალის აზრებისა.

აი რას ეამბობდი 1863 წ. მარტის „ცისკრის“ წიგნში.

„ამაზედ იჭვი არ არის, რომ ეს ჟურნალი („მოამბე“) არის გამოცემული კეთილის განზრახვით, ჩვენ მაინც იჭვი არა გვაქვს ამაზედ, მაგრამ ის კი არ ეიცით: მიჰყევბათ ამ სურვილი თან ამის მოთავეებს ენერგიაცა თუ არა. ჯერ ეს უმთავრესი საჭიროება ოთხს გამოცხადებულს რედაქტორში ერთის მეტმა არაეინ გამოიჩინა.“

მამბობ აქვე.

ჩენი აზრი ეს არის, რომ ჟურნალისტი, როგორათაც მოვალე ხელის მომწერლებისა და როგორათაც მზრუნველი საზოგადოების წარმატებისა, უნდა ერიდოს ყოველ რიგს უაზრო და უსაგნო წერილების ბეჭდვას... მკითხველი ნაკიანი კაცის ნიჭიანათ და აზრიანად დაწერილს წაიკითხავს სიამოვნებით და გამოიყენებს კიდევცა. მაგრამ ამისი უაზროთ რამ ნაბლაჯნი, რომელიც, ეინ იცის, ოცნების გასართობლათ, ან ისე უსაქმურობისაგამო უწერია, ესენი რაში ეპიტნავებამკითხველსა!

„ჩვენ გადავშალეთ თუ არა „მოამბის“ პირველ ნომერში თაქვე დაგვიხედა ჩვენი გამოჩენილი პოეტის თ. ნიკ. ბარათაშვილის ლექსი „მთ.წმინდაზედ შემოღამება“, რომელსაც ვერეთევ მიეწერება ზემოთ ხსენებული ჩვენი სიტყვები“.

მს არის ახალის აზრისა და სწაელის წინააღმდეგი!

აი, სხვათა შორის რას ვამბობდი მე თ. ბ. მრისთეის „შეშლილზედ“ რომელიც იყო „მოამბეში“ დაბეჭდილი.

„იღვია ძალიან კარგი აულია—მშობლების მტარელობა შეილებზედ. მაგრამ აქ იმისთანა ფილოსოფიასი ხუდოჯნიკი მწერალი უნდა, რომ ყოველივე მოძრაობა კაცის გულისა და მოქმედება ცხოვრებისა დაგანახოთ, როგორც თქვენი ხუთი თითი და ისე ფილოსოფიურათ მეცნიერებაზედ დამყარებით გააკელიოს ეს საგანი, რომ არაერთარი საიჭო არა იყვეს რამის სიმართლეში. თ. მრისთაეი, როგორც სჩანს ამის შემოლოლიდამ, ამას ყველას მოკლებულია...“

„ჩვენ მშობლებს თავისი შეილები ნიეთათ მიჩინათ, მეტადრე საცოდაეი ქალები დედებს... ამას კი აღარა მფიქრობენ, რომ უბედური ქალი ამ ჩვენი კანონებით თავის დღეში ბორკილებ შეყრილია ქმრის ხელში, და ისიც თუ თავის გულისა არ შეჭხედა, ვინ იცის რამდენ სიკვდილის სანატრელ სატანჯველს გამოივლის! თავათ, უამისოთაც, ყოველითურთ შეწროვებული ჩვენი ქალი ამ შემთხვევაშიც უნდა უთქმელათ დედ-მამის სურვილით, წინააღმდეგ თავისის გულისთქვისა, შევას ქმრის სამუდამო მტარელების უღელშია...“

„ყოველივე ესე, როგორც ზემოთაც ვსთქვი, უნდა ავტორმა ისე გამოსახოს, რომ ზიზლით დაანახოს იმგვართ პირთ თავისი შეცდომილება. მაგრამ მრისთაეი ამ შემთხვევაში ისე



სუსტი, რომ, თითქო, ეს იმათ ბოროტებას კი არა, სწორედ, ისე ხუმრობსო. თქვენ რომ შეშლილსა კითხულობთ, იმის უმთავრეს საგანს კი არ გაზღვეთ — უგდებთ ყურს ქალების ბაასს და წრიპინ მასხარაობას.*

შს არის წინააღმდეგი ახალის აზრებისა და სწავლისა?!

1663 წ. „ციცკრის“ აპრილის წიგნში ვაშბობ მე „შოამბეზედ“ სადაც ელაპარაკობ ილია შავჭავჭავაძის ზოგიერთა უსაგნო და ახირებულ აზრებიანს ლექსებზედ: მაგალითათ როგორც იმისი „ციური ხმები“, „პოეტი“, „მძინარე ქალი“, სადაც ერთში ამბობს, რომ ესმის ციური ხმები, მეორეში, რომ ცილამ არის გამოგზაენილი, მესამეში ალტაცებით სწერს ქალის ტკბილს ძილსა, რომელსაც „წრფელი“ აქვს ძილი, ვით ხილვა ცისა, ზედ აღგას ჩრდილი ანგელოზთ ფრთისა“ და სხვა, რომელიც ეკადრებოდა მხოლოდ ფარადუსის, ფეტსა, პერესელიძეს, ბერივესა და არა შავჭავჭავაძეს, რომლისა წინაშე ახალი თარბა ასე იღრიკებოდა და რომლისაც ყოველი სიტყვა ღმერთათ მიაჩნდათ.

ჩვენ, უფ. შავჭავჭავაძე და თ. შრისთაეო ცრუ ოცნებები კი არ გვინდა პოეზიაშია, — რით ვერ გაიგეთ, რომ შავჭავჭავაძის ოცნებებისა, ოხისა და უხის ამოთ ლაყაფის და ქადაგებების დროები წაეიდნენ, — ჩვენ გვინდა პოეზიაშიაც და ისეც უხედაუთეთ საქმეს, ჭეშმარიტებას, ჩვენი გულის პასუხს, ჩვენი თავის ცნობას, ჩვენს გარშემოს, ჩვენს თვისებას და კუთვნილებას.*

შს არის წინააღმდეგი ახალის აზრებისა?

შემდეგ იხილეთ „შოამბის“ № 2 გვერდი 1-ვე. რასა ვქადაგობდა ექ. შოამბე? „ციცკარი“, დაუარდნილი „ციცკარი“



და ანტონ შურცელაძე, რომელნიც თქვენის სიტყვიერებას ადისავენი ახალი აზრების სიძულვილით, ურღვევდა ამ მართლაც და სალი გონების წინააღმდეგ აზრებს ახალი დაწინაურებული მოაზრების საბუთებითა და სწიელითა. მე ამ აზრების დარღვევას შევსწირე მაშინ რამდენიმე გვერდი, და ამავე დროს ვეწინააღმდეგებოდი ახალს აზრს! რათგანაც მაშინაც კირდა იმათი დაბეჭდვა, ვისაცა ჰსურს შეუძლიან წააკითხოს „ცისკრის“ 1863 წ. მაისის №. რაც შეეხება იმას, რომ მე თვითონ „მოამბის“ მტრობაც არ მედო გუნებაში, აი რა რიგს აღტაცებაში მოგვეყენდი ყველა იმას, რასაც ახალის სწავლისა და ახალის აზრების შესახებ დაბეჭდიდნენ ამ ორგანში.

„შემდგომ გლახის ნაამბობისა, — ეამბობ მე მარტის წიგნში, არის „მოამბეში“ დიან ლირსეული და ჩინებული სტატია: „მამა პლექსანდრე გაეაცვი“. სწორეთ კარგათ აურჩევია ეს მთარგმნელსა. ამ გამოჩენილი მქადაგებელის სიტყვები, ამისი ჭეშმარიტი სიმართლისა და ქვეყნის სიმართლისათვის თაედადება არის სწორეთ ყოველი პატროსანი კაცისათვის პატივსაცემი და მისაღები. მეერს უშევრს და უგეანს პირს, როგორც იტალიაში, ეგრეთვე სხვაგანაც, დასთხრიდა თვალებს თაეის სიმართლით ეს ქადაგებები; და ჟურნალის მღვალეობაც ეგ არის, რომ სიმართლედ ჩაწუროს ცდომილს ხალხს თვალებში... დეე ეს ჭეშმარიტება იყვეს საწყენი თანამედროვე საზოგადოების დაბნული გონებისთვის; დაე იჯავროს და ილაღანოს სიმართლით გულდამწვარმა სიმართლის მთქმელი ზედ და დეე მიიჩნიოს ეს ენებათ, თუნდა დეე კიდევ აენოს რომელსამე თანამედროვე საზოგადოებას; მაგრამ ეს მანც დამტკიცებით გვეცოდინება, რომ ახალი თაობა, შთამამაელობა



გაიზღებიან ამ სიმართლის ნიადაგზედ და ერთხელვე გაზაღდებულს სიმართლეს გაივლიან შეუძრწუნებლივ.“

მს არის მტრობა „მოამბის“ ახალის აზრებისა და სწაელისა?!

მამბობ კიდევ ამავე სტატიაში სხვათაშორის.

„უფ. მ. თ. „შინაური მიმოხილვა“ კვშმარიტათ უცხო მოვლინებაა ჩვენს ლიტერატურაში. შაბედვით ვიტყვი, რომ ჩვენს ჟურნალისტიკაში ასე ანალიზიანი, ასე წმინდათ საქმის გამშინჯაეი ჩენი საზოგადო ნაკლულევენებისა და იმის მიზუნის დამნახეელი ჯერობით არა გამოსულარა.“

აი, თუ კარკი რამ გამოედოდა „მოამბეში“ ნანდეილის ახალის აზრისა და სწაელისა და ამასთან ნიჭიანათ დაწერილი, რა რიგათ იზიდავდა ჩემს გულს, სადა სჩანს აქ ახალი აზრების მტრობა და წინააღმდეგობა?

მს არის თქვენი პატიოსნება უფ. სკანდელო?

რომ მე ჯერ იმ ოთხს ხუთს თეეშიაც, როდესაც თითქმის მთელი „ციკარის“ რედაქციას ემართაედი, იმ დროსაც არ ეიყავ არც „ციკარზედ“ და არც „მოამბეზედ“ ბრმათ და სიმართლით ეალიარებდი, რაზედაც კი შემხედებოდა სჯა, აი ამისი ნიმუშები.

„საბრალონიზედ“, რომელიც არის ჩიქოანისაგან ნათარგმნი („მოამბეში“ დაბაკდილი) ჩვენ ვერას ვიტყვი, გარდა ამისა, რომ არის კარგათ ნათარგმნი, რაც შეეფერება ჯერეთ ჩენი ლიტერატურის თარგმანის გეეარჯიშებას. შართლაცა, რომ საქებურია ეს თარგმანი. თუ მცა „ციკარშიაც“ იყო ეს რომანი, მაგრა, ჯერ ერთი ეს რომ იყო ძალიან ურიგოთ თარგმნილი, შეეარეც ესა: ჩიქოეანის თარგმანი უფრო შეესილია დაენაც ხომ



შეუღარებლივ სჯობია დიდებულის (სისკრის მთარგმნელის) ენასა.

ამას რას ეძახიან უფ: სკანდლო.

მაშასადამე, მე მქონია წინააღმდეგობა „მოამბესთან“ არა ახალის მიმართულებისაგამო და ახალის სწავლისა და აზრებისა, არამედ იმისგამო, რომ ისინი ვერ ასრულებდნენ ამათ ღირსეულათა. და რომ მოგისპოთ გზა, რომ ესეც არ ჩაგდოთ მამაკედინებელ ცოდვით, მაშინ გიჩვენებთ თქვენ თქვენს თავზედვე მაგალითს და გკითხაეთ: ეინ არიან ჩვენი მთარგმნელი ქალები? განა რომ ყმაწვილები და ახალის აზრისანი! იმათაც ვგრეთვე ამართეს დროშა პატიოსნებისა, რატო არ ანებეთ „კრებულს“ თავი და არ შეეფარეთ იმ დროშას? რათ აძლევთ იმდენს შენიშენას იმავე სტატიაში, რომელშიაც მე ამგვარსავე გცევეას ბრალათა მდებთ? რათ უწუნებთ „როსსელის დღიურებს“, ჰუგოს „პარიჟელ ბიქს“? ნუთუ ესენი „ოთხს შეხვედრანდ“ „თანამოგზაურზედ“ „უბედური ჭკუისაგან ის“ ნაფლეთზედ და სხვებზედ ნაკლები, რომელსაც სთარგმნიდნენ „მოამბეში“? რისგან მოხდა, რომ თუ თქვენ ჩადიხართ კარგია, თუ სხვა ჩადის იმავე საქმეს—მამაკედინებელი ცოდვით... ეს არაფერი. ბახსოვთ თქვენი სტატია „კრებულში“ „ჩვენი ახალგაზღობა“. ის ვიზედ იყო დაწერილი თუ არ ახალგაზღობის წინააღმდეგ? ამ სტატიის დაწერიი როგორღა ჰბედაეთ სხვაზედ რისამე ბრალის დადებას?

შს არის თქვენი პატიოსნება?

პასუხი მეოთხე პუნქტისა.

ამბობთ, უფ. სკანდლო, რომ ეითომ მე ეამტკიცებლი, რომ „საქართველოს მოამბეს“ არც ერთი წუთი მამულის სიყვარული არა აქვს და ნანდვილი მამულის სიყვარული, ნან-



დელილი პატროსანი შრომა, ნანდელილი ლიბერალიზმის უნდელილი
 ძერესელიძეს.

მუ სადმე გვეულებათ კიდევ თქვენს თავში პატროსნება
 და არა ხართ მთლათ ნამუსზედ ხელ აღებული, მიჩვენეთ ეს
 აღგილები; სადაც მე ვამტკიცებლი ამეებს.

მქვენ, ვიცი ჩაიცინებთ გუნებაში და იტყვიით: რამდენი
 მაგისთანაები ვადაშხედია, და პასუხი არ მიგია და ამაში უნ-
 და უგო პასუხია! შაი, რა ცუდათ უცენიეარ ფურცელაძესაო.
 ეტყობა იმას ნიკოლკა—პუბლიცისტი და ზოგიერთა რუსული
 გაზეთები არ წაუკითხავს და არც თვით აქაური უნარები გა-
 უგია, თორემ მე სინილისს არ შემეკითხებოდაო.

მაშ რაკი აგრეა, მოვიყვან კიდევ ნიმუშებს სკანდელიის
 სიკრუის დასამტკიცებლათ. აი სხვათაშორის რას ვამბობლი
 მე „ცისკარზედ“.

„დაარსებიდამ „ცისკრისა“ ამ ღრომდინ ეს ჟურნალი არ
 შექმნებია არც ერთს იმისთანა საგანს, რომელსაც შოითხოვედა
 ღროგების საჭიროება, ან რომელიც აღმოჩენილა თვითონ ხალ-
 ხის მდგომარეობაში. ბურანი აპატიისა ეხვია ამ ჟურნალს შე-
 სახებ ზემოხსენებულის საგნებისა და ჩუმათ, თითქო ამბობდა:
 „ეგ რა ჩემი ხელობააო“, იყო გაბრუებული და ჩვენი ხალხი კი
 შესცქეროდა და ამბობდა: ჟურნალი გვაქვსო“.

აი ახლა იმისი ნიმუში რასაც ვამბობლი მე მოლაყებზედ,
 თვით იმ მოლაყებზედ, რომელიც იყო ივანე ძერესელიძე და
 რომელსაც ისე აქებდა თავის წიგნებში ილია შავჭავჭავიძე:

„შაეიდა ღრო და როგორც სხვანი შრავალნი, რომელ-
 ნიც ჰქადაგებდნენ სიახლეს და კი ვერ შენიშნეს, რომ ღროს
 იმისი ნაქადაგევი კიდევ შემოეტანა ცხოვრებაში და კიდევ

დაძველდა, და ისინი კი გაიძახოდნენ ეს გენდარდო, როგორ
 დროს უკან ჩვენი მოლაყბეცა და ახალს ხალხს უქადაგებს
 ისევე იმასა, რაც იმის დროს ახალი იყო და ახლა დაძველე-
 ბულია.“

მსეც თქვენი პატიოსნება?

პასუხი მებუთე პუნქტისა.

შემდეგ ბრძანებთ, რომ აღრევე სხვას გავიძახოდი უფ.
 შავჭავჭავაძის ლექსებზედ და ახლა სხვას, რასაც, ვითომც ამტ-
 კიცებდეს ჩემი კორარესპონდენცია გოარის უეზდიდამ. თუმცა
 ეს კულაბზიკების თვალის მეთში მამაკედინებელ ცოდოთ არა-
 ვის ჩაეთვლება, მაგრამ რომ აქაც დაეამტკიცო თქვენი სიცრუე,
 აელსნი საქმესა.

მე ჩემს კორარესპონდენციაში ვაქებ „ელეგიას“ და „ნა-
 ნას“ როგორც აზრიან ლექსებს, რომლებიცაც მღერას ურჩევ
 ჩვენს ქალებს. მე ამ ლექსებს ვაქებდი, როგორც აზრიანებს.
 აზრებს, გარდა ზოგიერთა ლექსებისა, სადაც ქალების ტრფი-
 ალება და შუა საუკუნების პოეტების აზრები შესახებ პოე-
 ტების ზეციდამ ჩამოგზავნისა და ამგვარები, მე არ უწუნებ-
 დი. მე მხოლოდ არ ამყავდა შავჭავჭავაძის პოეტური ნიჭი ცაში,
 როგორც სხვებსა. რაც შეეხება მაშინდელს ჩემს აზრს აი რას
 ვამბობდი მაშინაც ამის ლექსებზედ. „ჩვენ ამის მთქმელნი
 შინც არა ვართ, რომ შავჭავჭავაძის ლექსები არა სჯობდნენ
 ბერის სხვებისას. („ცისკ.“ 1863 წ. აპრილი) ამასთან მე ვამ-
 ბობდი, რომ პოეტური ნიჭი დიდი არა აქვს მეთქი, და იმის
 ლექსები არიან ქმნილებანი კკუისა და ხელოვნებისა, ანუ უკე-
 თა ესთქვათ დიდის მეცადინეობისა. რა არის აქ წინააღმდეგი,



მრეწველობა

რომ ეაქე, „ელეგია“, და „ნანა“ რომელნიც მაშინ ერთ-ერთი დასრულებული არა ყოფილა დაბეჭდილი და მეორე იყო დაბეჭდილი, „ცისკარში“, მაშასადამე რომლებზედაც მე არც კი მქონია მაშინ სრულიად ლაპარაკი? რაც შეეხება იმას, ვითომც თქვენ განგებ წაგეშალოთ მთელი ჩემი გვარი ჩემს კორრესპოდენტიაში ჩემდა შესარცხენათ და გაგეშვათ ჩემი გვარისა და სახელის მართო სათაური ასოები იმათ დაბეჭდვის დროს, არ ვიცი გონიერებას ამტკიცებს ეს თქვენსას, თუ სრულს გონების დაბნევას. აბა ერთი მითხარით, გონების პატრონი კაცი იზავს იმასა, რომ ქურდი ხელში ჰყვანდეს, და რომ უფრო არ დაიშალოსო თითონ ქურდი გაუშვას, და მართო იმისი ქუდი ან ხელცახოცი დაიჭიროს. თორემ, მგონი, უფ. სკანდელიო, ვგსაკვეთური საქმეც თქვენი ხელისა არ უნდა იყვეს, მე როგორც მახსოვს სრულს გვარს არასოდეს არ ვაწერდი ჩემს კორრესპოდენტებზედ და არა მგონია რომ ან აქ მამეწეროს ამისთანა უბრალო საქმეს რომ ასე საკვეთურათ ხდით, სხვა დიდი საქმე რომ გექნათ, მაშინ რას იქმოდით? აი სადამდინ მიდის თქვენი მეცადინეობა, რომ რაშიმე მომასწროთ და თითო უბრალო საქმეს აძლეეთ ისეთს მნიშვნელობას, რომ თითქო ქვეყანა გეხსნათ წარღვნისაგანაო, და ამ უბრალო საქმეშიაც ღვებით მხოლოდ ცრუ უძლოური ბატისტინა—კუდაბზიკა.

რა ჰქვია ან ამეებს თქვენში?

რაც შეეხება უფ. შავკავიძეზედ ჩემს ლაპარაკს, (იმის ლექსებს ნწერის ნიჭიერებაზედ იქნება ეხლა ისე სასტიკათაღარ ვილაპარაკო) ვამბობდი და ვიტყვი კიდევაც, რომ აზრებისა, იდეებისა, ტემებისა სიუხვე და სიმდიდრე აქვს; მაგრამ ამის



ქმნილებათა აკლიათ შეესება აზრებისა, აკლიათ სისრულე აზრებისა. (მა კიდევ იმას არ ამტკიცებს, რომ ამისი აზრები სხვებისაზედ სრულნი და შემუშავებულნი არ იყვნენ. ძოდევ იმიტომ არის შევკვამდე ჩენი სასტიკი ყურადღების მისაგცევი.) ამასთან შევკვამდეს აქვს ერთი ნაკლებულება, რომელიც აქამდინაც არ ამოიკვეთა, ეგ ისა, რომ სწერს ცხოვრებას, და არ ამოქმედებს ცხოვრებას; ანუ უყვითა ესთქვით, აწერს ცხოვრებას იმას, რაც თვით ცხოვრების მომდინარეობილამ, რაც ცხოვრების მიზეზებილამ, რაც გარშემო მოვლინებილამ ხშირად არ წარმოსდგებიან; უყვარს შევკვამდეს უტრიროვკა; აიღეთ თუნდა ბუზი რეკია აფიცერი, „მ გ ზ ა ვ რ ი ს წ ე რ ი ლ ე ბ შ ი“. არა აქვს ფსიხოლოგიური ცნობა კაცის გულისა და დაკვირება ლოლიკურის მომდინარეობის კაცის მოქმედებისა. მე ამაზედ ვრცლათ ვაპირებდი ლაპარაკს თავის დროზედ, რომ ჩენი ჟურნალი გაერცვლებულიყო, თუმცა ვიცოდი, რომ ამით შევიძენდი ახალს მოქიშპეს, რათგან შევკვამდეს თქვენზედ ნაკლებ არ უყვარს ისინი, ეინც უჩვენებს ნაკლებულებას, და თქვენზედ ნაკლებ არა ჰზოგავს იმათ გასასერელს იარაღსა. მე ვრაცხდი ამას უფრო იმიტომ საჭიროთ, რომ მაგის ამგვარ ლიტერატურულს წარმოებას აქვს მოქმედება ჩენს მწერლებზედ. ამგვარმა მაგის ნაწერების მოქმედებამ დაჰბადა ჩენს მწერლობაში უფ. ზ. წერეთლის „ჯიბრი“ და „ჩენი ცხოვრების ყვაეილები“ და მის შესგავსები, რომელშიაც ისახებიან სრულიად ეს აწერილი შევკვამდის ნაკლებულებები. პეტორიტეტი შევკვამდისა ისე მოქმედებს ჩენს მწერლობაზედ, რომ ყველა იმისი ბრმა მბაძენი სრულიად აღარა ჰფიქრობენ ღრმათ საქმეში ჩახედვას და საქმის გაცნობას: ისინი ბავშურის



საქართველოს
საბჭოთაო
საზოგადოებრივი
საბუნებისმეტყველო
საზოგადოებრივი
საბუნებისმეტყველო

თავმოწონებით ცდილობენ მხოლოდ თავის ბუნებრივ მოხვედრის თავის მომკმედ პირებზედ ზედ მოხვევენას და აღარ დაგოდებენ ან ეს აზრები, ან ეს მომკმედი პირები არიან ნანდილნი და ან გამოსადგენი მაინცა, ამგვარმა ჭაფუკაძის მოქმედებამვე დაჰბადა ის ცრუ პოეზიური სურათები, რომელსაც ებოვებთ ეგრეთვე მ. წერეთლის „ყვავილში“, სადაც „გორავს დიდი ცეცხლის ბურთი (მზე) და სტყორცის დილის ცეცხლს ოქროს სხივებსა.“ სადაც ყმაწვილების თამაშობისაგან გამხიარულებული მზე „ცაზედ დაეღუპს აკეთებდა“, სადაც „ფუტკრის რაზმები უგალობდნენ შრომის ლექსებს ყვავილებსა და არცხენიდნენ ლოთებს, რომ ჩვენ ეშრომობთ და თქვენ კი არაო“, სადაც ყვავილები სტირიან საკრავების ხმაზედ ყმაწვილების მოშორებასა და სხვა და სხვა. ამასთან თქვენგან პირველისგან არ ისმის ისა, ვითომც ახალი მიმართულება და აზრები იყვეს დაწყობილი და შემოღებული ჩვენში ილია ჭაფუკაძისაგან. მე მხოლოდ ამას ვიტყვი, რომ მაგან გააცხოვლა ეს აზრები და მიმართულება სხვა თავის ტოლებითურთ, რომლებშიაც ერთი პირველი ადგილთაგანი მაგას ეჭირა. მაგრამ რომ მაგისი დაწყობილი იყვეს ეს საქმეები, მაგას მხოლოდ თქვენისთანა კაცები იტყვიან, რომელთაც არ იციან ჩენი ლიტერატურა და ლაპარაკობენ, რაც პირზედ მოადგებათ. ეს აზრები ყველაზედ აღრე იწყობა მრიგოლ მორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილიდგან, მეტადრე ამ უკანასკნელიდგან, რომელიც თავის „ქართლის ბედში“ სტირის თავის სამშობლოს ცუდს ბედს, ჰლაპარაკობს და ქადაგებს იმგვართა აზრთა, რომელიც მაშინ თვით რუსის მწერლობაშიაც არ ისმოდა. ვის არ ახსოვს მსაჯულის ლაპარაკი ირაკლისთან, სადაც



ის ჰკიცხავს ირაკლის იმის განზრახვისთვის, და ის ამბობს: „სახელმწიფოსა ერთობა სჯულის არა რას არგებს, ოდეს მის შორის თვისება ერთა სხვა და სხვაობდეს.“ შემდეგ ამბობს ამ გულის საკლავ სიტყვებსა, რომელიც ხშირათ განჰგმირავს ქართველის გულს: „მაშინ მეფეო, რადენთ კაცთ მართალთ მოუკლან გულნი ტანჯვით იღუმალთ! მაშინ ირაკლის სახსენებელი, ვინღ ახსენოს ან საქმელი.“ ან კიდევ ეს სიტყვები: „განზრახვა შენი მეფეე მაკვირებს! ირაკლიმ იცის რომე ქართველებს არად მიაჩნისთ უბედურება, თუ აქეთ თვისთ ჰერ ჰვეშ თავისუფლება“ და სხვა ამგვარები. მგრეთვე რა იყო „მერანი“ ბარათაშეილისა, თუ არ ცხოველი ბრძოლა და ქადაგება ახალის აზრებისა და ახალის ცხოვრებისათვის? ამათ შემდეგ ამავე გზას გვიკვლევდნენ ანტონოვი თვის კომედიებში, სადაც ის დასკინოდა ძველს დამპალს ცხოვრებას, ძველს ამაოდ შორწმუნებათა; გვიჩვენებდა გლეხების უბედურს მდგომარეობას, იმათს დაჩაგრას ბატონისა, შოურაისა, დიამბეგისა, იასაულეებისა და ათასთა სხვათაგან. ამასთან შონქაძე, რომელშიაც ისე ცხოველად განჰკიცხა ბატონყმობა ჯერ მაშინ, როდესაც ის ისე უწყალოდ იყო გაძრიელებული და გვიჯდებოდა ქართველს ხალხს ძელსა და რბილში. მხოლოდ ამათ შემდეგ გამოდიან ილია შავეკვაძე და აკაკი წერეთელი, რომელთაც მოსდევს მთელი ფოლანგა, არა ილია შავეკვაძისგან აღზრდილნი, არამედ იმ აზრებით გატაცებულნი რომელნიც, ტრიალეზდნენ რუსეთში, საიღამაც გადმოდიოდა ჩვენს ძარღვებშიაც და ჩვენს თავშიაც, როგორც თვით შავეკვაძის თავშიც. მაშასადამე ამ მხრივაც შე მოკრძალება და თაყუანება წინაშე შავეკვაძისა და ილია შავეკვაძისა და ილია წერეთლისა.



ქვეყნის უცდლოშაებისა არ მემართა, რომ ერთი საუკუნისათვის განია ჩვენში, მაგას მეც ვალეიარებ. მაგრამ რომ ეს გვაძლევდეს მიზნებს მაგის წინ თვალების დახუჭვისას, ეგ თქვენთვის მოგვინდვია, რათგან თქვენ ყოველი საქმის წინაშე ხართ თვალ დახუჭვილნი.

აი ღლესაც ჩემი აზრი შევჭაყაძებულ უფ. სკანდელი.

პასუხი მეექვსე პუნქტისა.

შურცელაძე არის უსვინიდილო, რომ არ აღიარა „კრებულ დროება“, ესე იგი სკანდელი, მესხი და შერეთელი წარმამდგენელათ ახალის თაობისაო.

ზემოთ მოყვანილი საბუთები სრულიად საკმაოდ ამტკიცებენ რის წარმამდგენელნიცა ხართ თქვენა. რასაკვირველია, „კრებულ დროებაში“ სწერენ, როგორც გარეშე თანამშრომელნი, რომელთაც არ უნდა მიიღონ თავის თავზედ, რაც იწერება თქვენ სამს პირზედ, რათგანც არც უნდა ჰგოდნობდნენ ამგვარს ჰარამზადობას. აბა წარმოიდგინეთ: მესხი — წარმამდგენელი ახალის თაობისა! რომ მართლა გამოსჩნდეს იმისთანა ჭკუის გლაზა, რომელმაც მესხი აღიაროს წარმამდგენელად ახალის თაობისა, ხომ თვით მესხი გადაბრუნდა და ჩაბჭირდა სიცილითა და იკითხა: ვინა ყოფილა ის ასეთი ჭკუის ვაგლაზიო!

თქვენზედ კი აი რას მოგახსენებთ, რომ, რო მოისპოს პირისაგან ყოვლისა ქვეყნისა ის ყმაწვილი თაობა, რომელიც ვალიარებთ თქვენ თავის წარმამდგენელათ, ის იქნება უმჯობესა ქართველთა სახელისათვის, რომ ჩვენს შესარცხვენად და თავზედ ლაფის დამსხმელად არ იყვნენ და არა ჰყრუვნიდნენ



ქართველობის პატიოსან სახელსა. წინაშე მთელის ქართველობის ქვეყნისა, ჩვენ დაგვრჩენია ერთათ ერთი საუნჯე, პატიოსანების სახელი, რომელიც დაგვრჩენია მამა-პაპიდამ და ახლა ეს საუნჯეც გვესპობა, როდესაც ჩვენ გვყავს თქვენ გვარი წარმამადგენელი ყმაწვილის თაობისა.

ახლ რამდენიმე სიტყვა ისე სხვა სკანდელის შენიშენაებზედ. უფ. სკანდელი ამბობს, რომ რა კაცი უნდა იყვეს ის კაცი, რომელსაც არა სჯერა არც ერთი მწერალის პატიოსნებაო? ნეტაუი ეს აზრი თქვენი მაინც იყვეს და დობროლიუბოვისაგან არ მოგეპარა. აბა მკითხველო ნახე დობროლიუბოვის თხზ. ტომი IV სტრი. 349 თუ სიტყვითი სიტყვით არ იყვეს ამოღებული.

ჯერ ერთი ესა, რომ მე არა მჯერა მხოლოდ თქვენი, მესხისა და წერეთლის პატიოსნება და ამათს მეტს სხვებზედ გარდა თითო ოროლოასი, რომელთაც დამტკიცეს თავისი საქმეებით ჩემი აზრი, არ მითქვამს არაეისი უპატიოსნობა. პირიქით მე ბეჭდვით ვაღვიარე შესახებ ღიმიტრიძისა, რომ თქვენს პატიოსნებაზედ იჭვი არა გვაქვს მეთქი. მაგრამ თქვენ გინდათ, რომ სხვათაც მოსცხოთ თქვენი ჩირქი და გაჰხადოთ თქვენ ტოლათ პეტრიძესავეთ ჯერეთ ჩირქმოუცხებელი მწერლები და სხვანი. თქვენ გინდათ გეთქვათ ამითი, რომ უფ. შურცელაძე მარტო ჩვენ სამზედ არ არის ცუდის აზრისა, ყველაზედ ამ აზრისა არისო, და ვითომც ამითი გამართლდით და დამტკიცეთ ჩემი უსინიღისობა. ეს საბუთიც არ გამოგადგათ, რათგან ვერ მიჩვენეთ, რომ ყველა მწერლებს გარდა სამიოდოთხისა, რომელშიაც თქვენ სამთა და განუყელთა გიჭირათ პირველი ადგილი. აქაც გამოჩნდა თქვენი ცარიელი კულაბიკობა.

ამტკიცებთ, ვითომც მე გთხოვეთ, რომ მალაჩეთ ახალგაზდა მწერლთა და მამიტივეთ ჩემი მამაკედინებელი ცოდო მეთქი.



აბა, ჩემო კულაბზიკა, მიჩენე ის ადგალი, ^{ქვემოთაჲსი} ^{ხედაინახეთ} ხოეთ ამასა და გეხვეწებოდეთ.

მე, უფ. ანტონ ფურცელაძე, ვეხვეწებოდი სკანდელს, გ. წერეთელს, მესხს, რომ მიცანით მეთქი ახალ კაცათ და მამიტვეთ მეთქა!!! დეფიქრდით სკანდელი და შემოიკრიბეთ ცნობა. მე, რომელიც ნიადაგ ზიზლით და თაკილით ზახსენებ თქვენ სამი მწერლის სახელს და მეტადრე თქვენს სახელს, მეტადრე მას აქეთ, რაც ვიცან თქვენი საქმენი, — ვე გთხოვდით თქვენ მოტყეებასა!!! სიცოფეი. ცილის წამება თქვენი, მესხისა და წერეთლისა, მართალია, ჩვეულებრივი საქმეა, მაგრამ, კაცო, დაეიჯერო არ უნდა ჰქონდეს სამზღვარი ამგვარს თქვენ საზიზლარ საქმესა!? მე გთხოვდით მოტყეებასა და ნიადაგ კი მასხარათა მყავდით გახდილი! ლოლიკა გაქეთ თაეშია!

მთუ მცირეც არის ნამუს... მაგრამ ნამუსხედ რას გელაპარაკოთ! ეს სიტყვა თქვენთვის სათაკილოა. მთუ სრული უნაბუსო კაცი ხართ და თაეზედ ხელ აღებულო, მიჩენეთ ის ადგილი, სადაც ეს ხეწნა და თხოვნა იყევს. არც ახლა შეიღებთ თ ესა. უნამუსობაზედ შეეარდა საქმე და დაეიჯერო არ დაიცვამთ ამ თქვენს ღირსებას!?

მითხრით როგორ შეუროგდეთ იმ კაცსა, რომელმაც დედა შეგეიგინაო, ესე იგი შეეკეაძეზედ წინააღმდეგსა სწერდაო.

მხლა გასცხოვლებია სკანდელს შეეკეაძის სიყვარული, როდესაც „კრებულს“ შემოაკლდა მასალები და შეეკეაძემ აღუთქვა თანამშრომელობა, თორემ კიდევ უნდა მოევაგონო სკანდელს ჩემთან პირადი ლაპარაკი, რომ შიორგი წერეთელს მალლა აყენებდა შეეკეაძეზედ.

მთუნდა რომ სწორეთ იმ აზრისაც იყევს სკანდელი შეეკეაძეზედ, ნეტაფილა შეეკეაძეს, რომ თქვენისთანა შეილი გაზოსელია. მთუ გიცნობთ მოკლეთ შეეკეაძე, არა მგონი ამ



თქვენმა აღსარებამ იმას ტკბილათ დაუაროს ტანში მისი მისი
 ამ შემთხვევაშიაც ის მართლაცა და გალიარებთ თვის შეილათ,
 მაშინ ჩვენ დაგრჩენია მწუხარებით თათის გქნევა და სიტყვე-
 ბი, რომ ღირსეულს დედას ღირ ეული შეილი გამოავლიო.

მაი იმ უბედურს დედას, რომელსაც თქვენისთანა შეილი
 გამოუვა და ვაი იმ უბედურს ქვეყანას, რომელსაც თქვენი-
 სთანა მომქმედი პირი წამოეზრდება!

მრთვან, ეთომც გაამართლა მ. წერეთელი, უფ. სკან-
 დელმა, შესახებ იმის მოენიძეზედ შეცდომისა.

მს იმასა ჰგავსო, რომ ეინმე უზვირო დიაცი მასკოდ გე-
 ჩვენოს ლამაზათაო, გამოელაპარაკოეო იმას და შემდეგ მას-
 კის მოხსნისა ისეე თხოულობდეს, რომ მოიწონო და უმეგო-
 ბრო, რათვან მასკაში მოგწონდაო.

მს შედარებაც იმგვარს თქვენს გონიერებას ამტკიცებს,
 როგორც ისა, რომ თქვენ ჩემი გვარი და სახელი წაშალეთ
 ჩემ სიცრუეში დასაჭერად.

ჩვენა გეკონდა ლაპარაკი ნაწერებზედ, ნაწერების ნიჭი-
 ერებაზედ, და არა პირებზედ. მუ კაცი უნიჭოა, იმას ნაწერე-
 ბი არეარგა, ის ეერ მოახერხებს კარგის დაწერას, რომ ამითი
 სხვა მოატყუოს. ამ შემთხვევაში მასკა ის იქნება მხოლოდ,
 რომ იმან აილოს სხვა ჰკვიანი კაცის ნაწერი და თათისად გა-
 მოსცეს. მაგრამ ჩვენ მოენიძის ნაწერებში ამას არა ეხედაეთ.
 მოენიძის ნაწერები იყენენ საკუთარნი, და არა სხვისანი. მაშ
 რაში ჰგავს ეს მასკარადსა და პირბადე ჩამოღარებულს? მუ
 მე ვიყავ უნიჭო ყოველს შემთხვევაში, როგორ მოახერხებ
 თათქმის გენიოსური თხზულებების წერა? აი სადამდინ შილის
 თქვენი გონიერება.

რომ ამგვარი შეცდომილება არ არის წერეთელის მხრივ



პირველი და უკანასკნელი, მოგიყვანოთ ეხლავე ^{მარკინოვი} ~~მეგობრულ~~ მაგალითი. ^{მეგობრულ} ~~მეგობრულ~~ პი რასა ბრძანებდა **ზ. წერეთელი თ. ზ. პრისთვის** კომედიანზედ „დავა“ იმის ბეჭდვის დროს.

„რაიც შეეხება ამ კომედიის ღირსებას, თვითონ ავტორს უთქვამს, ყველა ჩემს კომედიებს „დავა“ მიჩვენებო. მართლაც, „დავა“ თუ **ზ. პრისთვის** ყველა კომედიებს არა სჯობია, არც ერთს იმის საუკეთესო დრამულ თხზულებებს უკან არ ჩამოუდგება“.

ახლა ნახეთ ესევე **ზ. წერეთელი**, რომელიც ასე აქებდა ამ კომედიას და ჰბეჭდიდა თავის ჟურნალში, რას ამბობს თავის სტატიაში „ენახე და მეწყინა“.

„დავა“ როგორც კომედია არც კი ღირს ლიტერატურაში მოსახსენებლათ, იმიტომ რომ ის სრულებითაც არ არის კომედია. ეს არის მხოლოდ ქუჩიდგან გამოგროვილი სცენები, გადამბული ერთათ, ლმერთმა იცის როგორ. იმაში არ იბოვება იოტის ოდნად მოქმედება, ესე იგი კაცის გულის თქმის მღელვარება. აქ სრულებით არ არის დრამული გარემოება და სხ.

რას ნიშნავს ესა უფ. სკანდელი? მასკას ვანა? პი რა რიგი უაზრო და მოუსაზრებელია ყველა ქება და ძაგება თქვენი და უფ. წერეთლისა. ახლა როგორ უნდა დაგიჯეროთ ამას იქით თქვენ მკითხველმა? რითი უნდა დარწმუნდეს, რომ ესევე წერეთელი და სკანდელი ხეალ სრულიად სხვას არ იტყვიან იმავე საგანზედ რასაც ლაპარაკობდა დღესა? აქაც მასკაა?

მართგან კიდევ თქვენ ამბობთ, რომ ჩვენს პატრიოსნებას ის ამტკიცებს, რომ წერეთელმა თვით აძაგა „მელალუმო“. ეგ თქვენა ენაზედ ამტკიცებს პატრიოსნებას, და ჩვენში სრუ-

ლიადაც არა. ჩვენში ამტკიცებს ეგ უპატიოსნებას. რადგან
 რი ჰგრძნობს თხზულების სრულს უვარგისებას, ამჟამად
 ეე ამტკიცებს ბეჭდვითა და ამავე თხზულებას ჰბეჭდაეს კი თა-
 ვისსავე ქურნალში. ეს პატიოსნებაა? **მორემ** საქმე ასე არ
 იყო. წერეთელი გიწუნებდათ თქვენ მხოლოდ ენას, რომე-
 ლიც იცოდა, რომ თქვენ არ გეწყინებოდათ, რათგან ენის
 უცოდნელობა არ არის თქვენი დიდი დანაშაული. სხვათრევე
 ამბობდა, რომ მოთხოვა კარგიაო. ნაწერში ენა კი არ არის
 საქმე, საქმე თვით ნაწერია. იმან ეს იცოდა და დაგიწუნათ
 მხოლოდ ენა.

ახლა არ დარჩა აზრი მთელს სკანდელის სტატიაში, რომ
 არ გვეგოს პასუხი. რა წყაროებიდამ შესდგა ეს ცილები? პა-
 ტიოსნებიდამ?

მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ამგვარი ცილების სა-
 თავე ჩემზედ მომდინარეობს ჩენი ნაქების პოეტის შავჭავჭავაძის
 „სხარტულიდამ“, რომელიც აულიათ მაგალითათ საცოდავებსაც
 და ის კი დაეიწყდათ, რომ ცილებთან შავჭავჭავაძემ ამ თხზუ-
 ლებაში გამოიჩინა თავისი სატირული ნიჭი, რომელსაც ეს
 კულის გლახები მოკლებულნი არიან.

ამითი ვათენებ მე ამ სტატიას და ვკითხავ სკანდელსა:
 ვის შერჩა ის დანა ხელში, რომელსაც ეგ ექალოდა ჩემს
 ყელს? ვინ უნდა იყეს ახლა მკედარი თავისის უსინიდისობის
 უპატიოსნების, ცილის-წამების, სიცრუის და ჰარამზადობისა
 გამო წინაშე პატიოსანის საზოგადოებისა? ვის გამოეჭრა ყე-
 ლი და ვის დარჩა იმ მამაკედინებელი ცოდვის დიდი შუბლ-
 ზედ, რომელსაც მე მაწერდა?

მაგრამ თქვენთვის სულ ერთია, რაც უნდა დაგემართოს,
 ვითომც აქ არაფერიაო, ჩამოიწმენდათ პირსა და შეჭლრეჭით
 მკითხველს უნამუსოას პირითა, და ეტყვიეთ, რომ ჩვენ ხომ



ნამუსათ სიკვდილზედ არა გექონდა ქალილი და მწიფე მარ-
ჩენ ნანდილს სიკვდილზედ გექონდა ლაპარაკი და აბა მარ-
თლა როდის დაეხიოცეთო. თუ მართლა დაეხიოცილიყავით,
ხო აღარც თქვენთან ბასი შეგვეძლებოდაო.

მე ჩემო კუდაბზიკა!

უნამუ'ო ვირზედ შესეეს, აჩი არაფერიო.

ახლად შეყრამდის, თუ კი ეღირება ამას იქით თქვენს
ამგეარს უსაბუთო ლაზღანდარულ ცილისწამებასა და სიცრუ-
ვეთან ლაპარაკი. *)

ანტონ ფურცელაძე.

*) აქ შენიშვნაში არ შემიძლიან არ გამოვაცხადო თან-
ხმობა ერთს სერგეი მესხის აზრზედ, რომელიც იმან წარმო-
სთქვა სკანდელზედ № 14 „დროებაში“ რომ არ უნდა გამო-
ლაპარაკებოდი ანტონ ფურცელაძესაო. ამაზედ მართალი მესხს
თავის დღეში არ მოსვლია: მართლაცა და მესხისთვის ძნელი
წარმოსადგენია იმ კაცთან ლაპარაკი, რომელსაც ფეხქვეშ დამ
ვერ დასძრომია და რომლისაგამოც ემასლაათება მხოლოდ
ფეხებსა. 1)

1) ამას იქით მე „მნათობში“ მონაწილე აღარა ვარ, ამის-
გამო გაბედვით შეგვიძლიანთ სკანდელ — მე ხ — წერეთლებო
რამდენიც თქვენს პატიოსანს გვამსა და ტყუილების გულში
ჩაეტვოდეს იცრუოთ, იგონოთ ცილები, ილაზღანდაროთ ბა-
ზაზხანურათ, კრიჭოთ კბილები, ზილოთ ვაჭროთ ჩირქი და ტა-
ლახი და ხან თავი ჩაყოთ შიგა და ხან ფეხები, — ერთის სიტ-
ყვით გული ისრულოთ ყოველსა თქვენს შიღრეკილებაზედ.
ბურთი და მეიდანე დაგრჩათ თქვენ იმის შემწეობათ, რომ
„მსგავსათა თქვენთა ვერა აეცდით ჩვენ“.



ისუიდება



ტფილისში ენფეჟიანტის წიგნის მაღაზიაში, გარეთუბანს თამამოკის ქარვასლასთან, ზოლიციის გვერდით. კართანოკის მაღაზიაში გუგეის სიდზე. ქუთაისში ბრინციის სტამბაში, სვიმონ ჩომასიძისას. გორში სიდიხაკან ქაშუეკის მაღაზიაში. თელავში სასულეო-ერო სახწყულებელში უ. დათოშვილისას. სიღნაღში რაქდენ ტიტიშვილისას. ახალციხეში ანნა მუსხელიანისას.

თ. გრიგოლ ბრბელიანის ლექსები. გამოცემა მეტრე უმიკაშვილისა, ფასი ათი შაური. სქელ ქაღალდზე დაბეჭდილი ერთი მანეთი.

თარგმანნი საამოთა საკითხავთა თსულებათა. თარგმნილი ღ გამოცემული ქართულის ქალებინაგან, ფასი ორი აბაზი. კატინა, ადაშიანი. თსზ. ილია ჭავჭავაძისა. ფასი ათი შაური.

თ. გიორგი ერისთვის თსზულეებანი. გამოცემა ალ. ერისთავისა. ფასი ორისავე ნაწილისა სამი აბაზი. თითოხი ექვსი შაური.

ნონგური. ლექსების კრება, გამოცემა კირ. ლორთქიფანიძისას. ფასი ერთი მანეთი (ისუიდება უკანახკნელი ეგზეკმულიარები).

დაკითიანი (ანუ გურამიანი) თსზ. 'დაკით გურამიშვილისა. წიგნი ბირველი. ფასი ათი შაური.

წიგნი სიბრძნე სიცრუისა. თსზ. სულსან საბა ორბელიანისა. გამოცემა მეტ. უმიკაშვილისა. ფასი ათი შაური.

საქარტველო სიტორია. თეიმურაზ ბატონიშვილისა. ფასი ერთი მანეთი.

ქურნალის კრებულის ნომრები. თითო ნომრის ფასი ათი შაური.

„მნათობის“ ამ 1872 წელში გამოდის ინკარდგან უოკელ თქ-
თითო წიგნის ხურცე არის შეიდიდგან ათ დიდ თამახმდის.

ამ 1872 მნათობისა ფასი:

მთელი წლისა—გატყუნით უველა პლატეში შეიდი მხეთი.
ნახევარ წლის ხელის მოწერა არ მიიღება, კარნა მთელი წლის
ფასი შეიძლება შემოიტანონ ორ ნაწილად.

ხელის მოწერა მიიღება:

თბილისში, სახულიერო სემინარიაში, უფ. სემენარიის მახწავ-
ლებლის გიორგი იოსელიანის ხახულხედ.

ქეთაისში: უ. გვარსამე კალენდარიშვილთან, სახულიერო ხახწავ-
ლებელში.

